| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აბეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებითა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


ჟურნალ „მოამბეს“ განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

## ტფილისი

18 სექტემბერს

ჩვენ მრავალჯერ შევხვედრია შემცდარი და დამამცირებელი აზრი ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ერზე, სხვა-და-სხვა „მოგზაურთა“ და „დამკვირვებელთა“ ნაწერებში, მაგრამ ფიქრად არ მოგვსვლია მცირეოდენი მაინც ყურადღება მიგვექცია. არ მოგვსვლია ფიქრად იმიტომ, რომ „მოგზაური“ და „დამკვირვებელი“, რომელიც რკინის გზით გაივლის ქვეყანაში, და თავის აზრს ერის ნიჭზე, გონებაზე, კულტურაზე, პატიოსნებაზე და ბევრს სხვა რამეზედ, რითაც დაფასდება ყოველი ერი, შეადგენს, ვაგონში შემთხვევით, — ამისთანა მკვლევართა და მეცნიერთა, რასაკვირველია, სხვა გვარი აზრი საგანზედ არც მოეთხოვებათ.

ხანდისხან მოხდება ისეც, რომ ამისთანა სუბუქი გონების ვაჟბატონები-კი არა, თვით სამეცნიერო წიგნი, „საზოგადო ლექსიკონიც“-კი ინებებს ისეთის რისამე დაწერას, რომელზედაც, ცოტა რომ დაფიქრებულიყო ავტორი, სულ ადვილად მიხვდებოდა დაწერილ ამბის უსაფუძვლობას. —„სომეხთა კათალიკოზი არარატის მთაზე სდგას და ყოველმა სომეხმა უნდა ინახულოს თავისი პატრიარქი სწორედ ამ მთაზედაო“, სწერია ერთს სამეცნიერო რუსულ ლექსიკონში. ჯერ, თავგადადებულ მოგზაურთაც-კი უჭირთ არარატის მთაზე ასვლა და მოხუცს მღვდელ-მთავარს, აბა რა აიყვანდა იქ? მაგრამ, ნაწერსა და ნათქვამს ხშირად არ უფიქრდებიან, და ამიტომ შეჰყავთ ათასი და ათი-ათასი მკითხველი სასტიკ შეცდომაში.

ეს აზრები მოგვივიდა ჩვენ შემდეგის მიზეზის გამო:

ქუთაისის ოლქის სამსჯავრომ გაასამართლა ამ დღეებში რამდენიმე ახალგაზდა თავად-აზნაური, რომელთაც ჰბრალდებოდათ სენაკის ფოსტის თავდასხმა და უკვე გაუჩინა მძიმე სასჯელი. „შედარებითის სოციოლოგიიდამ სჩანსო, სთქვა პროკურორის ამხანაგმა, ბ. ბაიკოვმა—რომ შეუძლებელია დანაშაულის განხილვა ცალკე, საზოგადო ცხოვრების სხვა მოვლენათა გარეშე. ეროვნობა, ქვეყნის საზოგადო ვითარება, კულტურა, ცხადად და უეჭველად ჰმოქმედობს როგორც დანაშაულის ჩადენაზე, ისე იმ გარემოებაზედ, რა გარემოებაშიაც იგი დანაშაულია ჩადენილი. კავკასიაში გაძარცვა ადამიანისა ჩვეულებრივი ამბავია; ავაზაკნი აქ ადვილად და დაუსჯელად იმალებიან ორ-სამ წლობით. მკვიდრნი ამ შემთხვევაში არა თუ შემწეობას არ აძლევენ პოლიციასა და გამომძიებელს, არამედ ხშირად წინააღმდეგობასაც უწევენ. მაშინაც-კი, როცა დანაშაული უკვე აღმოჩენილია და დამნაშავენი შეპყრობილნი, მაშინაც-კი ძნელია მათთან ბრძოლა, იმიტომ რომ ცრუ მოწმობის საქმე ხერხიანად არის მოწყობილი. გაუნათლებლობა და განუვითარებლობა, საზოგადო ვითარება ცხოვრებისა, [illegible] დამნაშავეთა, არის ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენარებს და ფესვებს იმაგრებს ეს სამწუხარო მოვლენა“. ამ სიტყვებს დასძინა ბ. ბაიკოვმა, რომ „პროკურორიც, ასეთივე მოლაპარაკე მსაჯულია, როგორც ნამდვილი მსაჯულიო“.

დიაღ, მშვენიერად აბოლოვებს, თავის გამამტყუნებელ სიტყვის შესავალს პროკურორის თანაშემწე: პროკურორი სწორედ მოლაპარაკე მსაჯულია და ყოველივე ის საშუალება და ღონისძიება უნდა იხმაროს ჭეშმარიტების შესატყობად, სიმართლის აღსადგენად, მსჯავრის წარმოსათქმელად, რასაც ხმარობენ ნამდვილნი მსაჯულნი.

სანამდის რომელსამე საზოგადოებრივ მოვლენაზე, გარემოებაზე და მიზეზზე თავის განაჩენს წარმოთქვამდეს კაცი, საჭიროა წინ წაიმძღვაროს უებარი და უეჭველი საბუთები, საბუთები და საბუთები. თუ მსჯელი ამ გვარის საბუთებით შეჭურვილი არ არის და მთელს ერს, მთელს ქვეყანას დიდსა და სამწუხარო ბრალდებას დებს ლიტონის სიტყვით—მაშინ ამ გვარი სჯა ჰკარგავს ყოველსავე მნიშვნელობას და უთხრის ძირს თვით სამართლის ავტორიტეტს. ხალხს ეჭვი ებადება, ვაი თუ მოტივად ასეთისა, თუ ისეთის განაჩენისა სიმართლის ძიების სურვილი-კი არ არის—დაუფიქრებელი და აღმატებული მაღალის სიტყვებისა და ფრაზების რახა-რუხიო. რაკი პროკურორის თანაშემწემ ისეთი ბრალი დასდო ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ მოველოდით, რომ პატივცემული წარმომადგენელი სამართლისა თავის აზრს შეურყეველ საბუთებზე დაამყარებდა, რომ იგი მოიყვანდა შედარებით სტატისტიკურ ცნობებს სხვა-და-სხვა ქვეყნებისას, დაამტკიცებდა, რომ ჩვენში უფრო მეტად არის გავრცელებული ავაზაკობა, უფრო მეტად არის ცრუ მოწმობა, უმეცრება, უგუნურება და სხვ. მაგრამ პროკურორის თანაშემწეს ესენი არ უნებებია და არ ვიცით-კი რისთვის?

აქ ორი მიზეზი უნდა იყოს: ან ეს საჭირო საბუთები ბ-ნს ბაიკოვს არ მოეძებნებოდა პორტფელში, ანა და საჭიროდ არ დაინახა წარმოედგინა: იფიქრა, ისეც დამიჯერებენო.

ჩვენის აზრით, ორივე ანგარიში შემცდარია. თუ საბუთები არა ჰქონდა, მაშინ არც გამამტყუნებელის ოქმის შედგენა უნდა ენებებინა მთელის ერისთვის და თუ ამისთანა საბუთები ჰქონდა და შეინახა, ესეც შეცდომაა, რადგანაც ჩვენს დროში ლიტონ სიტყვას არავისას აღარ იჯერებენ.

შემდეგს წერილში ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს დანაშაულობისას სხვა-და სხვა ქვეყნებშიდ, მაგრამ ეს გარემოება არ გმარა იმისთვის რომ ზოგადი ბრალი დავსდოთ ამ ქვეყნის მკვიდრთა და დავწამოთ ათას გვარი ბიწიერება.

მეველე

---

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 17 ტფილისში ხოლერით ავადმყოფი აღარ იყო.

სექტემბრის 16 ბაქოში სულ ათი ხოლერით ავადმყოფი იყო.

---

## ახალი ამბავი

*** კავთისხევში საქონლის ჭირი გაჩნდა.

*** დუშეთის მაზრაში საქონლის ჭირი მოისპო და სოფ. ჯანგუმიანში კარანტინი ახსნეს.

*** გუშინ მატარებლით გაგზავნეს ქიათურის შტოზე 300-დე მუშა, რადგანაც იქაურ მუშებმა ხოლერის შიშით მუშაობას თავი დაანებეს და გაიქცნენ.

*** ცხინვალი: დღეს ჩვენსკენ [illegible] ხშირებულა. ოჯახი არაა, რომ ორი და სამი ავადმყოფი არ იყოს. კიდევ კარგია, ჩქარა ანებებს თავს, ოორემ, თქვენი მტერი, ჩვენს გლეხს საქმეს გაუჭირებდა ამ უარარაობის დროს.

*** იქიდგანვე: წელს პურისა და სხვა ჭირნახულის მოსავალი ნაკლები იყო. ამიტომ ხალხი ფიქრშია. ნამეტნავად ვალისა და ვახშის პატრონმა არ იცის, რით ირჩინოს თავი მთელს ზამთარს.

ვენახებს თუმცა შარშანდელებრ არ ასხია, მაგრამ მაინც არა უჭირს-რა. საქმე ესაა მხოლოდ, რომ გვიანა მწიფდება ყურძენი. აი დღეს 14-ეკენისთვეა და საკურთხებელი ყურძენი კბილსა სჭრის კაცს.

*** თელავი: დღეს, ამ თვის 15-ს, დილის 5 საათზე აქციზის მოხელემ თავ. ვლადიმერ სიდამონ ერისთავმა საკუთარ სადგომში რევოლვერით მოჰკლა თავის ცოლი. თავის მოკვლაც განიზრახა და მარჯვენა გვერდში დაიცა რევოლვერი. ჯერ-ჯერობით-კი ცოცხალია, თუმცა იმის გადარჩენაც საეჭოა. ექიმის შემოწმებით თავადი სიდამონ-ერისთავი აგერ სამი თვეა სულით ავადმყოფობს. უბედურ მშობლებს სამი წვრილი შვილები დარჩათ: უფროსი რვა წლის ქალი, შუათანა სამი წლის ვაჟი და სულ უნცროსი —ორი თვის ძუძუთა ვაჟი.

*** ალავერდი (კახეთი): აქაურმა დღეობამ ჩვეულებრივად აუარებელი ხალხი მოიზიდა! თითქმის ყველა კავკასიის კუთხიდამ იყვნენ მოსულნი მლოცველნი და ვაჭარნი. ვაჭრობაც კარგი იყო. ყველი ძალიან ფასში წავიდა—ფუთი 8 მანათამდე. მხიარულება დიდი იყო. თითო-ოროლა ჩხუბიც გამოერია, მაგრამ ყველა შვიდობიანად გათავდა. მხოლოდ ერთმა შექეიფიანებულმა ახალგაზდამ მეორე ახალგაზდავე მსუბუქად დასჭრა ფეხში.

აქ მშვენიერი დარი სდგას.

*** ფოილა: 17 სექტემბერს, დილის 11 საათზე აბას-სულეიმანოღლიმ მძიმედ დასჭრა ხანჯლით ალა- [illegible] ზამთრობზე მოსვლიათ: არა ჯერ ჩემი საზამთრო დაუდოთ ურემზედ, არა ჩემიო.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ფელეტონში დაბეჭდილია მეორე სვეტში: „იმის მაგიერ რომ აფხაზურთ ლექსიკონი“... უნდა იყოს: აფხაზური ლექსიკონი; მეხუთე სვეტში: აფრუა, უნდა იყოს აფსუა.

იქვე: აფსიდებს, უნდა იყოს აფსილებს.

მეცხრე სვეტში: მთის მწვერვალისგან დაგორდება, უნდა იყოს მწვერვალიდგან.

მესამე (3) შენიშვნაში პიმიუნტი—უნდა იყოს პიტიუნტი.

---

### შემოწირულობა

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ პ. იეზოვის-მიერ გამოგზავნილი და ფოთში შეკრებილი 36 მანათი, დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. აი სია შემომწირველთა:

---

# ფელეტონი

## ოლრიჯის სიყვარული

ოლრიჯის დროს დეზდემონას როლს თამაშობდა ერთი არტისტი-ქალი, რომელსაც საოცრად ლამაზი მოახლე გოგო ჰყავნდა. სწორედ კალმით დახატული თურმე იყო. ამ თვალტანადსა და ლამაზს გოგონას, მეტად გულ-კეთილსა და ერთგულს, ერთი ისეთი დიდი ნაკლულევანება ჰქონდა, რომ სულ აქარწყლებდა მის მშვენიერებას: არაფერი არა გაეგებოდა-რა ამ ქვეყნიერობისა, იყო მეტად განუვითარებელი და ტუტუცი. თავის მამიდას აღეზარდნა ასე უმზგავსოდ და ათას გვარი სისულელე ჩაეგონებინა საწყალობელისათვის. რაც უნდა აღგზნებულის სიყვარულით შეჰყვარებოდა ადამიანს, საკმაო იყო მხოლოდ პატარა ხანს დაახლოვება მასთან, რომ სულ გამქრალიყო გამიჯნურებულის გულში ცეცხლი და ალი სიყვარულისა. არტისტი-ქალის ამხანაგები გატაცებით შეჰტრფოდნენ და ეალერსებოდნენ ამ მშვენიერს ქმნილებას, ამკობდნენ მის სილამაზეს, მის ცისფერსა და ჟუჟუნა თვალებს, მის ქერა თმას და ტანადობას, მაგრამ ყველას ისე გულგრილად ექცეოდა, თითქო ხეს შესტრფიან და არა იმასაო.

როცა ოტელლოს როლი სამუელ ფელპსმა ითამაშა, ყმაწვილმა მოახლემ შიშით სულ თავ-გზა დაჰკარგა: იმისი შავად გამურული სახე რომ დაინახა, ასე ეგონა, ეშმაკი და ქაჯი მომევლინაო. ტრედივით გული უსკდებოდა ყოველ იმის დანახვაზე და მწყერივით ინაბებოდა კულისებში. მხოლოდ მაშინ დაუმშვიდდა გული, როცა გრიმი მოიწმინდა არტისტმა: „აი, ახლაა წმინდა და პატიოსანიო“, სთქვა თურმე ლამაზმა. „ოტელლო“ს ყოველ წარმოდგენაზე ასე მოსდიოდა: შავის კაცისა ისე ეშინოდა კიტის, როგორც პატარა ყმაწვილებს ბუხრის მწმენდავებისა ეშინიანთ. თავადაც ასეთივე ყმაწვილი იყო და მისი ტუტუცობაც ამ მიზეზითგან წარმოსდგებოდა.

გავიდა ხანი და სამუელ ფელპსს შემდეგ ოტელლოს როლის თამაშობა დაიწყო ლონდონის სცენაზე ზანგმა ირა ოლრიჯმა. დანახვა იმ ლამაზის, ოქრო-ქოჩრიან მოახლესი და მისი შეყვარება ერთი იყო. მაგრამ, მოინდომა თუ არა ზანგმა მის ახლო მისვლა, კიტი შეშინებული და თავზარდაცემული გაექცა. ყოველი ახალი ნახვა მოახლესი ცეცხლს უკიდებდა ოლრიჯს და უძლიერებდა ტრფობის ალს.

ირა ოლრიჯი ხომ მთლად არტისტი არ იყო: ნახევრად ბარბაროსისა და ნადირი კაცის ბუნებისა იყო. კულტურამ გარეგნობით გააკეთილშობილა და აღზარდა ეს შესანიშნავი არტისტი, მისნი გრძნობანი-კი ისევ გაუწვრთნელი იყო. სიყვარული და ხორცის დატკბობა ერთი და იგივე სიტყვები იყო მისთვის. ვინ იცის, იქნება მოახლეს გულ-ცივობა უფრო უარესად აძლიერებდა მის გულის-თქმასა და ვნებათ-ღელვასა. და რამდენადაც მისი სიყვარული ძლიერდებოდა, იმდენად უფრო მეტად შეეზიზღა მშიშარა კიტის თავისი მიჯნური. „ვერ გამიგია, როცა თამაშობს ათავებს, რატომ ეგ-კი ისეთივე „წმინდა და პატიოსანი“ არ არის, როგორც სხვებიო“. როცა თავისმა ქალბატონმა აუხსნა და სურათებზედაც დაანახვა, რო გარჩევა-სხვა-და სხვა ტომთა შორის, კიტიმ უფრო შეიძულა სხვა სისხლისა და ტომის კაცი. ადვილად წარმოსადგენია იმას შემდეგ, რა აუტანელი ტანჯვა გამოიარა საცოდავმა ლამაზმა, როცა გულის-თქმათ მორეული და გახელებული მავრი მარტოთ-მარტო შეუვერდა ოთახში.

ოლრიჯმ იხელთა დრო, როცა

პ. იე... 10 მან. ი. მეუნარგიას შეკრებილი 13 მან., კ. ყაუხჩიშვილი 5 მ., ო. აზდუშელიშვილი 5 მ., ს. მდივანი 3 მან. სულ 36 მან.

## მთავრობის განკარგულებანი

ახალი კანონი ებრაელების სკოლების შესახებ ამ წლის 1 მარტს გამოცხადდა. ებრაელების მასწავლებლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიან სკოლის დაარსება, თუ მასწავლებლობის მოწმობა აქვთ. ეს მოწმობა სახალხო სკოლების დირექტორისაგან ეძლევათ. სკოლის დაარსება დირექტორისავე ნება-დართვით შეიძლება და მეთვალყურეობაც დირექტორისა და ინსპექტორს ეკუთვნის. უკეთუ საღმრთო სჯულის სწავლება სკოლაში რიგიანად არ მიდის, ანუ მასწავლებლობას ისეთი კაცი მიითვისებს, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, ებრაელთა საზოგადოების რაბინმა უნდა მოახსენოს ინსპექტორს ანუ დირექტორს. ყველა მასწავლებლების სადგურს გარედგან ფიცარი უნდა ეკრას ზედ წარწერით „მასწავლებელი“ და სახელი და გვარიც უნდა ეწეროს. ამ კანონის დამრღვევი დასჯილ იქნება სასჯელთა დებულების 1049 და 1053 მუხ. ძალით.

—

ახალი ტარიფი სპირტის გადატანისა შემოღებულ იქნება 1 ოქტომბრიდგან. უკეთუ სპირტი ბოჭკებით იგზავნება, თითო ფუთსა და ვერსტზედ გამოერთმევა $^1/_{15}$ კაპ.; სხვა ჭურჭლით გაგზავნილს-კი მეტი გარდახდება. თუ მთელი ვაგონი იგზავნება სპირტით სავსე, მაშინ სხვა ტარიფით იანგარიშება.

—

სწავლა-განათლების მზრუნველთ გაგზავნათ შემდეგი ცირკულიარი მინისტროს საქმეებიდანა ჩანს, რომ სასწავლებლებთან დაარსებული საზოგადოებანი არ აცნობებენ ადგილობრივს სამოქალაქო მთავრობას არც იმას, რა დროს აქვთ ხოლმე კრება და არც სიას კრების განსახილველ საგნებისას. ამის გამოზ-ნმა მინისტრმა საჭიროდ სცნა დაავალოს ყველა საზოგადოებას, იმ სასწავლებელთან დაარსებულს, რომელიც ექვემდებარება სწავლა-განათლების სამინისტროს, აუცილებლად ასრულებდეს ზემოდ მოყვანილს განკარგულებას სწავლა განათლების სამინისტროისას“.

## დამაკვირდი

ბევრი ლაპარაკი და ბევრის თქმა ერთი და იგივე არა არის.

**

მუნწი კაცი ზოგჯერ ჭკვიანიც არის, ზედოვლათი კი ყოველთვის სულელია.

სომერი

**

სიცოცხლე სიზმარია, სიცოცხლე ბრძნისა სასიამოვნო სიზმარია.

შილლერი

## ხალხური ლექსები

(ჩაწერილი მეთვალყურეს-მიერ)

### სიმღერა

ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგეთი მშვენიერიო:
ზდილი, ქველ-გმირი, მამაცი,
ბრძენი და გონიერიო!
გიხდება პტყელი, მხარ-ბეჭი,
წვრილი წერწეტა წელიო;
ტურფა სახეზე თვალ-წარბი,
შავი ულვაში, წვერიო.
მოძმისთვის თავის გაწირვა,
საჭირნახულო დღენიო;
იარაღთ ჩაკიპულობა,
ცქვიტი, მფრინავი ცხენიო,
გული ამაყი, ფოლადი,
მკლავი, მტრებისა მსვრელიო
ქვეყნის ორგულის დამსჯელო,
ხარ მათი სისხლის მსმელიო
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგეთი მშვენიერიო;
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს
და გაგიწყვიტოს მტერიო!..

## კორესპონდენცია

—

### წერილი კახეთიდამ

კახეთის კეთილ-დღეობა ძირიანფესვიანად შეირყა წარსულის წელიწადის მოუსავლობით!.. საჭიროა რამდენისამე წლის კარგი მოსავალი, რომ ჩვენი ვენახ-ყანობა თიხზე წამოდგეს და წელში გაიმართოს!..

ვიდრე 1893 წლის მოსავალს დავინახავდით, კიდევ იმედი გვქონდა, არა გვიშავს-რა, მაგრამ ეხლა ეს იმედიც გაგვიქარწყლდა, რადგანაც ზოგიერთი დარდი მოსავლისა უკვე მოვიწიეთ და, საუბედუროდ, სანუგეშოს ვერაფერს ვხედავთ!..

პური წელს ძალიან ცოტა მოვიდა, ისე რომ ბევრით არ აღემატება წარსულის წლის პურის რაოდენობას.

მიზეზი ამ მოუსავლობისა გახლდათ გოლვა და მასთან ის, რომ ზოგიერთ ალაგებში შერია-ნარევი გამოდგა ნათესი...

რაც შეეხება სიმინდს, იგი ხომ სულ არ ახეირა იმავე გოლვამ და მიწასთან გაასწორა!.. ივნისიდამ დაწყებული ივლისამდე ნამი არ ჩამოვარდნილა, წვიმის წვეთი არ მოჰხვედრია ნათესს; ამის გამო მომეტებული ნაწილი სიმინდისა—გადახმა.

მხოლოდ იმ ალაგებში იხეირა სიმინდმა, სადაც მორწყვა შეიძლებოდა და სადაც, საზოგადოდ, ნოტიო ნიადაგია; საუბედუროდ, სარწყავი მიწები-კი ჩვენში ძალიან იშვიათად მოიპოვება; ალაზნის გაღმა მხარი უფრო ირწყვება, რადგანაც იქ წყალი კიდევ იშოვება, აქეთ-კი თითქმის სრული უწყლობაა.

როგორც პურმა და სიმინდმა ვერ იხეირა, აგრეთვე ფეტვმაც და ქერმაც—და მიზეზი ყოველის ამისა—გოლვა უნდა ყოფილიყოს.

ამ ჟამად კოდი პური ფასობს ცამეტი აბაზი, დაწყებული თექვსმეტ აბაზიდამ, ქერი—2 მან., ფეტვი რვა აბაზი. როგორც ამბობენ, ფასი კიდევ მოიმატებსო!..

ღვინის მოსავალი ჯერ არ ჩაგვიკლია, მაგრამ ეხლავე შეიძლება შეადგინოს კაცმა აზრი მის რაოდენობის შესახებ. მე მქონდა შემთხვევა სხვა-და-სხვა სოფლის გლეხებთან გამოლაპარაკებისა და ყველანი ერთხმად ამბობენ: „ვენახები წელს საშუალო მოსავალს მოგვცემენო“. ბევრგან გაფუჭდა ყურძენი და ზოგან ვაზებიც გადახმა. ეს, რასაკვირველია, ყოველ წლიურს კახეთის სტუმარს — ობს (მილდიუ)—მიეწერება. კიდევ კარგი მასთან გამკლავება შესაძლოა და ჩვენი მემამულენი, როგორც თავად-აზნაურნი, აგრეთვე გლეხნიც, თანდათან ეჩვევიან წამლობას.

ამ სენს გარდა კახეთი წელსაც დაისეტყვა; წლევანდელი დასეტყვა დიდს უბედურებად დაატყდა ჩვენს მხარეს და ძალიან საზარალო იყო. ზოგიერთი სოფლები ისე ჩარიგა სეტყვამ, რომ ვაზი სამამულედაც აღარ ივარგისებს. აქვე დავასახელებ დასეტყვილს სოფლებს: კურდღელაური (ეს სოფელი 6 და 7 მაისს საშინლად დაისეტყვა: რაც-კი მიწის მოსავალი იყო, სულ გაანადგურა), აწყური, ხოდაშენი, ბაისო, კონდოლი, ართანა, ალავერდი (ნახევრად), ხორხელი, ოჟიო, ბაბანაური (მთლად)

დავალიანებული წარსულის წლის გამო, მდაბიო ხალხი წელს სულს ვერ მოიბრუნებს და სასოწარკვეთილებას მიეცემა, თუ დახმარება საიდგანმე არ მიეცა. შარშან კიდევ იყო საშუალება, ვალით მაინც გასძღოლოდა ყველა თავის მოთხოვნილებას, მაგრამ ეხლა ეს კრედიტიც დაჰკარგა და ხელს ვერას გზით ვერ გაიმართავს; მაშინ როდესაც იგი დატვირთულია აუარებელის გარდასახადით, რომლის გასტუმრება აუცილებელია. — ზოგიერთ სოფლებში ასობით მოიპოვებიან ისეთნი კომლნი, რომელთაც პურის მოსავლით გაისტუმრეს წარსულის წლის ვალი და ეხლა თითონ უპუროდ არიან, შეჰყურებენ ყურძნის წვეთს და იმისაგან გამოელიან შველას; მაგრამ, ვინ იცის, იქნება იმასაც სხვა პატრონი გამოუჩნდეს?

ერთის სიტყვით, წარსულის წლის ნაკლებულება წელს გაორკეცდება, თუ, როგოროც ზევით ვსთქვი, რითიმე არ შეუმსუბუქდა ხალხს ეს მძიმე ტვირთი.

კახეთის მოამბე

—

**ზესტაფონი.** 13 სექტემბერს. აქაურებს სალაპარაკოდ დღეს შემდეგი გულშემზარავი თავის კვლა აქვთ. 9 სექტემბერს საღამოს რვა საათზე აქაურები ზედ დაჰყურებდნენ თავისივე ხელით ყელ-გამოღადრულ კაცს, ალექსი გორგაძეს, რომელსაც დასტიროდნენ ახალგაზდა ცოლი, სიდედრი, სიმამრი და სხვა ნათესავები. თავის მკვლელი იმ საღამოს ერთს დუქანში შესულა და ღვინო დაულევია, წინად-კი არავის ახსოვს, რომ ოდესმე დუქანში ღვინო დაელიოს. ერთი ბოთლი ღვინო შინაც მოუტანია და ჩვეულებრივზე რამდენიმე ჭიქით მეტი დაულევია. ვახშმის გათავებამდე სუფრიდგან წამომდგარა და გარედ გამოსულა. ისევ შემოტრიალებულა.ნავახშმევს სიდედრისათვის კალმის დანა უთხოვნია ბ ეზოში გასულა. დიდ ხანს არ გაუვლია, სიდედრს ხრიალი მოესმა. მაშინადვე გარედ გავიდა და ცოტა მოშორებით თავისი სიძე დაუნახავს დავარდნილი, დანა ისევ ხელში ეჭირა თურმე და ხელს არ აშორებდა. მის [illegible] მოსცვივდნენ სხვებიც. რამ აიძულა ეს კაცი თავისის ხელით გამოსალმებოდა წუთი-სოფელს—დანამდვილებით გამოძიებამ ჯერ ვერა აღმოაჩინა-რა. მიცვალებულმა ამ უკანასკნელ ხანში ყასპობა დაიწყო. ახლახან ახალ-ქალაქისაკენ საკლავი საქონელი უყიდნია. ფული ერთი ნაწილი წინდაწინ მიუცია, მეორე ნაწილი სიკვდილის წინა დღით ფოსტით გაუგზავნია და თან დეპეშა დაუკრავს—ფული გამოგზავნილია და საქონელი გამომიგზავნეთო.ამავე დღეს სხვა ყასპებს, რომელთაც ძალიან სწყინდათ ვითომ, რომ იმანაც საყასბო დუქანი გაიმართა, დეპეშა დაუკრეს საქონლის პატრონს, გორგაძეს საქონელი არ გამოუგზავნო, თორემ ფული დაგეკარგებაო. ეს ვითომ გორგაძეს შეუტყვია და დარდით თავი მოუკლავს. აი ეს აჩვენეს გამომძიებელს. ცოლი, სიდედრი და სიმამრი სხვა მიზეზს ვერა ჰპოულობენ მისის თავის მოკვლისას.

—

**ცხინვალი,** 14 სექტემბერი. 25 აგვისტოს სოფ. თამარაშენში იყო თავ-მოყრილი ოთხის სოფლის საზოგადოება: ხვითისა, ქემერტისა, კეხვისა და თამარაშენისა. კრებას უნდა ამოერჩია ახალი მამასახლისი ამ ოთხის საზოგადოების გასაძღოლად. ბოქაულმა აუხსნა ხალხს, რომ საჭიროა გაგებული, მცოდნე და პატიოსანი კაცი ამოირჩიოთ, სულ ერთია, თავადი იქნება, აზნაური, თუ გლეხიო. ამოირჩიეთ მხოლოდ რიგიანი, ნასწავლი და თქვენთვის გულშემატკივარი კაციო.

ხალხმა შექნა ჩოჩქოლი და დაიწყო უარის თქმა: „არ შეგვიძლიან, თავებს დავიხოცამთ და მაგას არ ვიქთო. როგორც მამა-პაპას უწირავს, ისე ჩვენ უნდა ვწიროთო“. ბოქაულმა კვლავ დაუწყო ხალხს ჩაგონება. ტკბილმა ლაპარაკმა, გლეხთათვის კეთილის სურვილმა და შვილის შეფიცვამ თავისი გაიტანა და გლეხნი აიცრემლიანა. „გენდობით, გენდობითო“—დაგრიალა ხალხმა: „შენ ჩვენთვის ცუდს არ მოინდომებო“—და შეუდგა არჩევანს. აარჩიეს აზნაური როსებ დავითის ძე მაჭავარიანი, რომელსაც ბოქაულმა მაშინვე ჩააბარა თანამდებობა.

შემდეგ კანცელარიისთვის იქმნა არჩეული შუა გული ადგილი. კრებამ გადასწყვიტა ააშენოს კანცელარია ქვითკირისა და მისი აშენება გაიცეს იჯარით 400 მანათადო.

კვირიკელა

„**მწყემსი**“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ორი წერილი რედაქციის მიმართ:

I

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდილი ყოფილა ცნობა, ვითომც „დროება“ აგროვებდა შეწირულებას რუსთველისთვის ძეგლის ასაგებად და ვითომც ამ საქმისთვის ორას თუმნამდე მოგროვებულიყოს; თან კითხულობთ, ეს ორასი თუმანი, ან ამ ფულის გადახდის მოვალეობა ხომ არ მიკისრია მე, როგორც უკანასკნელს რედაქტორს „დროებისას“. საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინოთ, რომ როცა განსვენებულმა სერგეი მესხმა მე „დროება“ გადმომცა, არც ერთი გროში არ მიმიღია რუსთველის ძეგლის ფული, არც მოვალეობა უკი-

---

ერთის თვალის დახამხამებაში მოხდა.

კიტის ქალბატონი რეპეტიციაზე იყო, მოისყიდა მზარეული დედაკაცი და შევარდა კიტისთან. რეპეტიცია გადასდესო,—გვიამბობს ზემოხსენებული არტისტი-ქალი—და მე მაშინვე სახლში დავბრუნდი. შევაღე თუ არა კარი, შემომესმა გულის-გამგმირავი ხმა კიტისა. შეშინებული გავეშურე სასტუმრო ოთახში და დავინახე, რომ საცოდავი ქალი, შიშის ზარით ატანილი, დივანს უკან იმალებოდა. მავრი შუა ოთახში იდგა და ემუდარებოდა საყვარელს. ქალი წამოხტა ქვითინით და უცბად გავარდა გარედ.

ჩამოვარდა საზარელი სიჩუმე. არ გაუვლია ერთს წუთსა, რომ შემოგვესმა საშინელი კივილი—კიტი ეტლს მოჰყოლოდა ქვეშ. ყოველივე ესე

ორმა პოლიციელმა შემოიყვანეს სახლში მომაკვდავი. კიტი ებრძოდა სიკვდილს და ამის გამო სხვას ვეღარა ჰგრძნობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ისე ადვილად და გულ-ახდით არ მეტყოდა: ამ მავრმა, რომელიც ისე მეზიზღებოდა და მძულდა, მომხვია ხელები, დამიწყო მხურვალედ კოცნა და მისმა ცხელმა ცრემლებმა დამწვა ლოყებიო. პატარას ხანს უკან კიტიმ დახუჭა თვალები და მას უკან აღარ გაუხელნია. აღარ გაუხელნია მაშინაც-კი, როცა შეყვარებულმა არტისტმა ისეთის სიმწარით დაიღრიალა, თითქო გულმუცელში ცეცხლი წაუკიდესო. მკურნალი რომ მოვიდა, კიტიმ სული განუტევა. მავრმა აიღო მისი

ძვირფასი გვამი, დაასვენა ძირს, დაემხო ზედ, თრთოდა და განწირულებით იგლეჯდა თმას, იკაწრიდა პირი-სახეს და გაჰკიოდა: „მე მოვკალ, მე! მე ვარ ამისი მკვლელიო!“ ისეთის ხმით გაჰკიოდა ამ სიტყვებს, რომ არც მანამდე და აღარც შემდეგ არას დროს აღარ მსმენია. ასე გლოვა და ტირილი შეუძლიან მხოლოდ აფრიკის ლომს, რომელსაც ლეკვებს მოსტაცებენ... ამ სცენამ თავ-ზარი დამცა და სული ამათრთოლამაკანკალა.

ამ უბედურ დღეს ირა ოლრიჯს უნდა „ოტელო“ ეთამაშნა. ითამაშა კიდეც და ისეთის ძლიერებით ითამაშა, როგორც არას დროს არ უთამაშნია. ხოლო, როცა ფარდა ჩამოუშვეს, ოლრიჯი გულწასული ეგდო კულისებში და ვეღარ გამოვიდა სცენაზე, რომ თავი დაეკრა მაყურებელთათვის, რომელნიც გამწარებულნი უკრავდნენ ტაშს.

მთელი ერთი კვირა იწვა ლოგინში ცხელებით ავად გამხდარი ოლრიჯი. როცა ცხელებამ გუარა და მორჩა, თითქო დამშვიდებულიცა ჩანდა. მოვიდა ჩემთან, ბოდიში მოიხადა და მთხოვდა, მომიტევეო. „მერწმუნეთო,—მითხრა მან:—დიდად მიყვარდა ის საოცარი ქმნილება და ვსთხოვდი ცოლად გამომყოლოდა. მეც სულელი ვიყავი, რომ ვგონებდი, ვითომ ბუნებას შეეძლო მეორე დეზდემონას გაჩენაცა! კიტი დეზდემონა იყო, მაგრამ იმისი ერთგულება, ჭკუა და სული-კი არა ჰქონდა. როგორც მე არ შემიძლიან ეს შავი ფერი მოვიშორო ამ პირისახიდამ, ისე არ ძალმიძს ამოვიგლიჯო გულიდამ ტკბილი და სასიამოვნო სახე საცოდავის გოგონასი. მას აქეთ მძულს ლონდონი და ვტოვებ მას სამუდამოდ. მაგრამ ამასთანავე მძულს ჩემი თავიც და ხელოვნებაცა, მსოფლიოცა და ბუნებაც, ყოველივე, ყოველივე!“

სთქვა ესა და გამომეთხოვა.

მას უკან იმისი ამბავი აღარა გვსმენია-რა, ვიდრე გაზეთებმა არ გვაუწყეს, რომ სახელოვანი ოლრიჯი გარდაიცვალა მარტოობაში, სადღაც მიყრუებულ ქვეყანაში.

კიტის საფლავზე ამართულია შავი მარმარილოს ჯვარი ზედ წარწერით: „დეზდემონა კიტი“. ცხადია, რომ ეს მატური ხანგის აგებული უნდა იყოს.

სრებია და თითქმის ნამდვილად შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ამ საგნისათვის „დროებაში“ ხელის მოწერა არა ყოფილა გამართული არათუ ჩემ დროს, რაც დაჰეშმარიტებით ვიცი, არამედ არა დროს ჩემს წინადაც. ვთხოვ იმ გაზეთებს, რომელთაც თქვენი ცნობა გადაბეჭდეს, ამ წერილის შინაარსიც გადაბეჭდონ *)

თქვენი პატივისმცემელი ი. მაჩაბელი

## II

ბ. რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის მეთოთხმეტე ნომერში დაბეჭდილმა შენიშვნამ შესახებ სერგეი მესხის დროინდელ „დროებაში“ რედაქციისაგან ფულის მოგროვებისა შოთა რუსთველის ძეგლისათვის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და ბევრს არცა სჯერათ, რომ რაიმე ამ გვარი ხელის მოწერა ყოფილიყოს გამართული ჩვენს პერიოდულს მწერლობაში. საქმის გამოსარკვევად მოვალედ ვრაცხავ ჩემს თავს მოგახსენოთ, რომ ზემორე ხსენებულს შენიშვნაში შეცდომა არის, მხოლოდ ხელის-მოწერის საგნის დასახელებასა და ფულის რაოდენობის აღნიშვნაში. მე დაბეჯითებით ვიცი, როგორც გაზ. „დროების“ მაშინდელ თანამშრომელმა, რომ 1880—1883 წლების განმავლობაში (რომელს მათგანში ეს-კი არ მახსოვს) ხსენებულს გაზეთში ხელის მოწერით მოიკრიბა ექვსასიოდე—მანეთი განსვენებულის ისტორიკოსის მ. ბროსეს პრემიისათვის. და როცა ს. მესხმა გადასცა „დროება“ პატივცემულ თ. ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულების დანიშნულებისამებრ მოხმარება დაევალა ამ უკანასკნელს, რომელიც, იმედია, დაამოწმებს ჩემგან თქმულს სიმართლეს.

ილია ჭყონია

# რუსეთი

ორს უმაღლესს უწყებას—სამეურნეო და გზათა სამინისტროებს—განუზრახავთ ჯამაგირების მომატება დაბალ ხარისხის მოხელეებისათვის.

სამეურნეო სამინისტროში დაარსებული კომისია, მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით შემდეგ აზრს დასდგომია: მოხელე, რომელიც 1500 მანათს იღებს ჯამაგირს, თუ ცოლშვილიანია, ოჯახს ვერ ინახავს ამ მცირე ჯამაგირითა და, ძალა-უნებურად, სხვა საქმესაც ეძებს სამსახურს გარეშე; ამ რიგად გულმოდგენით ვეღარ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას. სამსახურში დაწინაურება ყველას არ შეუძლიან. ნიჭიერ კაცს შეუძლიან კიდევ იმედი ჰქონდეს წარმატებისა და დაწინაურდება კიდეც, ხოლო სხვები, თუმცა ნაკლებ ნიჭის პატრონნი, მაგრამ პატიოსანნი და სასარგებლო მშრომელნი ერთს ადგილზედ ერთსა და იმავე გარემოებაში რჩებიან. თითქმის საჭიროცაა, რომ ერთი და იგივე კაცი ერთსა და იმავე თანამდებობაში დიდხანს დარჩეს, რადგანაც საქმეს კარგად შეისწავლის, დახელოვნდება და მეტის გაკეთება შეეძლება, ვიდრე ახლად გამწესებულ მოხელეს. ამისთანა მოხელესათვის ეხლანდელი წესი ჯამაგირების განაწილებისა ძალიან უსამართლოა. ბევრჯერ გულ-კეთილ და სამართლიან უფროსს გაუჭირდება ხოლმე უპირატესობა მისცეს სამსახურში და დააწინაუროს ისეთი მოხელე, რომელიც დაბალ თანამდებობაში საჭიროა და გამოსადეგი. ამისათვის საჭიროა ამ გვარ მოხელეების წახალისება და ჯამაგირის თანდათან მომატება. კომისიის აზრით, იმ მოხელეს, რომელსაც ჯამაგირი 1500-ზე ნაკლები აქვს, უნდა ჯამაგირი ემატებოდეს: ცოლიანს 10%; ერთისა და ორის შვილის პატრონს ემატება კიდევ 5% და, როცა მესამე შვილი ეყოლება—სულ 25%-დე.

გზათა სამინისტროს ერთი ნაბიჯი კიდევ წინ წაუდგამს და განუზრახავს, ჯამაგირები მოუმატოს კიდევ მოხელეებს, როგორც ოჯახობის კვალობაზედ, ისე იმის მიხედვით, თუ რავდენ ხანს არის მოხელე ერთსა და იმავე თანამდებობაში.

ვთქვათ უცოლ-შვილო მოხელე იღებს წელიწადში ჯამაგირს 1800 მან.

1, ცოლიანი (10%) . 1980 „

2, ერთისა და ორის შვილის მამა . . . . . 2070 „

3, სამისა და მეტის შვილის მამა . . . . . . 2250 „

ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ცოლშვილის პატრონ მოხელეებს კიდევ ემატება 5% (1% სარგებელი წელიწადში) და ჯამაგირი ექმნება:

პირველს — . . 2079 „ მ. კ.

მეორეს — . . 2173 „ 50 კ.

მესამეს — . . 2362 „ 50 კ.

ათის წლის შემდეგ 10% ემატება:

პირველს — . . . . 2178 მ.

მეორეს — . . . . 2277 „

მესამეს — . . . . 2475 „

25 წლის შემდეგ;

პირველს — . . . . 2475 „

მეორეს — . . . . 2587 50

მესამეს — . . . . 2812 50

ამ მოხელის უფროსს-კი, თუ უცოლშვილოა, ჯამაგირი ეძლევა მხოლოდ 2800 მანათი, თავის ხელქვეითზედ ნაკლები.

—

ჩვენ ყველანი ვჩივით, რომ სოფელში ვაჭარი და ქვეყნის მჭამელი ბატონობს, და ატყუებს უსწავლელ, გაუნათლებელ ხალხსაო, ამბობს გაზეთი Русск. Жизнь. ჩვენ ყველანი ვხედავთ საეჭვო კაცთა ბრბოს, რომელიც ატყუებს გლეხობას და აცლის ქონებას სხვა-და-სხვა ხრიკით; ვლაპარაკობთ სოფლის მსაჯულთა უვარგისობაზედ და ყოვლად-შემძლებელ სოფლის მწერლების უვარგისობაზედ. ყოველივე ეს მართალია. ხოლო სად იმალება, სად მოსახობს ნასწავლი კაცი, რომელსაც მისთვის გული შესტკიოდეს, თუ ინტელიგენცია განგებ არის ხალხზედ დაშორებული და სოფლის საზოგადოება ისეთ კაცთ ხელშია, რომელთაც ღვრია წყალში უყვართ თევზის ჭერა.

სოფლის თვით-მმართველობის რიგიანად მოსაწყობად და განსაკარგებლად დიდი ხანია მწერლობა უჩვენებს წოდებათა გათანასწორებას, რომ ყველას შეეძლოს სოფლის ყრილობაში და მართვაში მონაწილეობის მიღება, რომ განათლებული კაცი ჯამაგირისთვის-კი არ ემსახურებოდეს სოფელს, არამედ თვითონაც იყოს მოკერძე ხარჯშიაცა და საქმის წარმატებაშიაც. დაასახლოვეთ განათლებული კაცი და ხალხი, გაათანაბრეთ, ერთნაირი ხმა და უფლება მიეცით სოფლის მართვაში და დარწმუნებული იყავით, რომ გლეხი-კი არ მოერიდება განათლებულ კაცს, არამედ პირველი თვითონ გაუწვდენს ხელს. მაგალითი მრავალი მოგვეყვანია და დიდხანს მენაც არ დაგვეშორდება. აიღეთ თუნდ გაზეთი Нов. Обозр. და აი რას წაიკითხავთ: მაზრის უფროსის ნებართვით, სოფლებმა: „უანცვისა, კედრებისა, სანებელი, კახის-ჯვარი, ხვედურეთი, სურა და ქარელმა ერთხმად აირჩია მამასახლისად თავადი ნ. ი. ცაციშვილი, ადგილობრივი მემამულე, რომელსაც გლეხთა შორის კარგი სახელი და დიდი ნდობა აქვს“.

როგორც ხედავთ, საქმე სულ „ნდობაზე“ ყოფილა. „ბატონი“ რომ ნდობას დაიმსახურებს, სოფელი სიხარულით მიიწვევს. მოდი, დაგვარიგე და გვასწავლე.

მეორე მხრივ თვით ინტელიგენციაც ცდილობს ხანდისხან ხალხთან დაახლოვებას და მასთან ერთად ჭაპანის წევას. გაზეთი Варш. Дневн. იუწყება, რომ ერთს მებატონეს ბ-ნ პანკრატიევს მოუწადინებია იმ სოფლის მამასახლისობა, სადაც იმისი მამულია, და სოფელსაც აურჩევია. ახალი მამასახლისი მაშინვე შესდგომია გზების გაკეთებას და სხვაფრივაც სოფლის საქმე კარგად წარუმართავს.

ამ რიგად ინტელიგენცია და გლეხი სხვა-და-სხვა მხრიდგან ერთმანეთს უახლოვდებიან და ეს წინ სვლა ერთმანერთის შესახვედრად დიდად საყურადღებოა.

# უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთ Standard-ს იმედი აქვს, რომ რუსეთს ვერ შეუსრულდება სურვილი, ხმელთაშუა ზღვაში სამუდამო ესკადრა ჰყავდესო. ამას ინგლისი მუქარად მიიღებს და იძულებულ იქმნება იხმაროს ჯეროვანი საშვალება ამის წინააღმდეგ.

ფრანგ-რუსთა კავშირი ბუნებასაცკი ეწინააღმდეგება და მასში ომის სურვილი გამოსჭვივისო. რუსეთსა და საფრანგეთზედ დაცემას არავინ აპირებს. უკეთუ რუსეთი და საფრანგეთი შეიარაღდებიან, მაშინ სამთა კავშირი იარაღს აიყრის, მაშინ ექვსი თვეც არ გავა, რომ რუსნი და ფრანგნი გერმანიასა და იტალიას შეესევიანო.

—

**იტალია.** იტალია ძალიანა სცდილობს, რომ ლორდ როზბერი სამთა კავშირს მიემხროს. გერმანია და ავსტრო-ვენგრიაც ამასვე არიან მოწადინებულნი.

იტალიას, ყველას აზრით, ომი უნდა. პოლიტიკურ და ეკონომიურის მხრივ იტალიელნი ისეთ გაჭირვებაში არიან, რომ არაფრის დაკარგვისა აღარ ეშინიანთ და ალალ-ბედზედ წავლენ ომში. ამ ხანებში მომხდარ დემონსტრაციებს ის ხასიათი სძევთ, თითქო იტალია საომრად იწვევს საფრანგეთსაო. მაინც იტალიას უნდა, რასაკვირველია, მომხრე ჰყავდეს და ამის გამო გაუმართავს დიპლომატიური მოლაპარაკება ინგლისთან. კრისპის ლაპარაკს სოლსბერთან უქმად არ ჩაუვლია. ხოლო იტალია პირდაპირ ვერ მოსთხოვს ინგლისს სამთა კავშირის ომში ჩარიეო, და ისე-კი წაიყვანს საქმეს, რომ ინგლისი როგორმე ჩაითრიოს.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთის მთავრობა ესკადრასა ჰგზავნის ხმელთა-შუა ზღვაში.

—

**გერმანია.** ამას წინად ვაუწყეთ მკითხველს, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშით მოიკითხა ავადმყოფი ბისმარკი და შეუთვალა, თუ ფრიდრიხსრუეს ჰავა გწყინს, ერთ-ერთს საიმპერატორო სასახლეში გადმოსახლდიო.

გერმანიაში ამ ამბავმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია. Berliner Tageblatt-ი ამბობს, რომ მეგობრული მიწერ-მოწერა იმპერატორისა და ბისმარკისა ყველამ სანუგეშო ნიშნად ჩასთვალაო. მთავრობასთან დაახლოვებულნი ამბობენ, ამ გარემოებას პირადიცა და პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვსო: ვითომ ავსტრიის იმპერატორი რავდენჯერმე დეპეშით სთხოვდა ვილჰელმს, შემატყობინე, ბისმარკი როგორ არისო და ვითომ ვილჰელმმაც მხოლოდ იმიტომ გაუგზავნა დეპეშა ბისმარკსა. მაინცა და მაინც ბისმარკის ხელ-ახლად კანცლერად მოწვევა ყოვლად შეუძლებელია. უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ახალგაზდა იმპერატორმა ისეთი ხერხი იხმარა, რომელიც ბისმარკს კრიტიკის სურვილს დაუკარგავსო.

Natlonal Zeitnng-ი ამბობს, რომ ხალხი სიხარულით მიეგება იმპერატორის და გერმანიის შემაერთებელის შერიგების ამბავს. „ეხლანდელ მმართველთ განა მოსჭარბდებათ ჩვენის დროს უდიდეს დიპლომატის რჩევაო“?—ამბობს იგივე გაზეთი. Kreuz Zeitung-იც აღნიშნავს ხალხის საერთო სიხარულს ამის გამო.

ერთის სიტყვით, ყველა გაზეთებს მოსწონთ იმპერატორ ვილჰელმის საქციელი და იგონებენ იმ დიდს ღვაწლს, რომელიც მიუძღვის ბისმარკს გერმანიისა და პრუსიის წინაშე.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ჟორჟ-ზანდს უთქვამს თავის მოღვაწეობის შესახებ ქ-ნ ადანისათვის, რომელიც Nouvelle Revue-ს გამომცემელია:

„მე მსურს, ჩემმა ამბავმა გულისყურში ჩაგაგდოს, ჩემო შვილობილო. როდესაც ჩვენ ერთმანერთს უკედ გავიცნობთ, მე გიამბობ რა ყოფილა ჩემი გზა. იმ მცირე სასყიდლით, რომელსაც მე მაძლევდნენ შრომაში, მე სრულიად დამიმორჩილეს. მეც გატაცებით ვქმედ-მოქმედობდი, მინდოდა ყველას მოეხმარებოდა ჩემი შრომა და ამ ჩემს სურვილსა და გატაცებას, „გგონებ, ცუდის მეტი არა მოჰყვა-რა. ჩემს თავს რომ ვაკვირდები და ვუფიქრდები, ორ-გვარ გულის თქმასა ვპოვებ ჩემში: დედობრიობისა და მეგობრობისას. მე თვითონ არ ვემენდი სიყვარულს და არც არჩევანში შევდიოდი, არამედ გულს ვუშლიდი ყველანაირს სიყვარულს, რომელიც-კი წილად მხვდებოდა. ის კაცნი, რომელთაც სიყვარულს ვუზიარებდი, მე მეგობრადა და შვილებად მერგებოდნენ. ჩემი სიყმაწვილე გავატარე ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ხელოვნების მოტრფიალე იყო; ამ საზოგადოებაში სულ სხვა ფიქრისა და გრძნობის ხალხი იყო ვიდრე უბრალო სიკვდილის შვილნი, ერის უმრავლესობა. ის დრო წავიდა, ეხლა სულ სხვა დროა, სხვა ხალხია. ეხლა ყველა სწერს, ჰფიქრობს და ჰხატავს არა უმცირესობის დასაკმაყოფილებლად, არამედ უმრავლესობისათვის. ეხლანდელნი ხელოვნების ოსტატნი ხალხში აირივნენ და თავის-თავს აღარ ეკუთვნიან, აღარ უმგერთ გული, აღარ ემსახურებიან გულმოდგინედ თავის იდეალს. იმათ ხალხისაკენ მიიქცევს პირი და აწონებენ თავს. ისინი, რასაკვირველია, ჩვენზედ ნაკლებ იტანჯებიან, არ ეშინიანთ იდეალების დამხობისა, რადგანაც ოცნებაც ნაკლებადა აქვთ. ჩვენზე ბედნიერნი-კი არიან? არა მგონია. ჩვენი დიდი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენ გრძნობას ფრთას ვუსხამდით. ჩვენს სურვილსა და მოქმედების იდეალს ვუახლოვდებოდით... ეხლა რომ შემძლებოდეს ხელ-ახლად ცხოვრების დაწყება, ჩემი ცხოვრება წმინდა, შეურყვნელი იქნებოდა“.

**

მაღლი—კასსირი. ქ. შენბერგში ქუჩებს ასწორებენ და ამის გამო ბევრ ადგილას მთელი სერი უნდა გადასთხარონ და მიწა გაზიდონ. რადგანაც ამ ადგილის ნიადაგი ქვიშიანია, იჯარადარი ჭურდის ქვიშას და ურემს რომ ავსებენ, მაშინვე იღებს ფულს. ხშირად ასვლა-ჩასვლა ერთს კაცს გაუძნელდება, რასაკვირველია, და ამ საქმეში იჯარადარს მაღლი ეხმარება თურმე; მაღლი შეჭყურებს, ურემს როდის გაავსებენო, ჩაირბენს, გამოართმევს მეურმეს ფულსა და თავის პატრონს აუტუნტულებს. მთელი კვირა ასრულებს თურმე მაღლი ამ ზოგ კაცისათვის სახიფათო თანამდებობას.

## გასართობი

ნეტარ არს კაცი,
ვინც რომ სიცოცხლე
ტკბილად დალია:
უძლურს, ვით მგელი,
საზრდოს სტაცებდა...
იყო ავია.
ძლიერის წინ-კი
ქედსა იხრიდა...
იყო კრავია.

ვითომ და პოეტი

## გამოსადეგი ცნობანი

ჭიქა (სტაქანი) ხშირადა სკდება ხანდახან სრულიად უმიზეზოდ და ხან-კი იმიტომ, რომ ცივს ჭიქაში ცხელს წყალს ჩაასხამენ ან ცხელ ჭიქაში ცივსა.

ძლიერ ადვილია მოახერხოთ, რომ ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო ჭიქა არ გასკდეს. თითოეული ჭიქა გაახვიეთ ჩვრაში და ჩააწყეთ სპილენძის ქვაბში, დაასხით წყალი და შესდგით ცეცხლზედ. წყალი ნელ-ნელა ადუღეთ. 5—6 საათს ეწუოს ჭიქები მდუღარე წყალში. შემდეგ ქვაბი გადმოიღეთ ცეცხლიდგან და თბილი რამ გადააფარეთ, თუნდა საბანი. წყალი რომ გაგრილდება, ჭიქები ამოალაგეთ. ისე იქმნება გამოსული, რომ გინდა ცივ ჭიქაში ცხელი წყალი ჩაასხით, გინდა ცხელში ცივი,—მაინც არ გასკდება.

*) ნათქვამია: „სადაც არის მძორები, მსწრაფლ ჩნდებიან ყორნები“. ბევრი ფულები შეჰმულა სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო ანუ სასახელო მიზნით მობოჭილი. ამისთანა ფულების ანგარიშის გაგება და ისიც საქველ-მოქმედო მიზნით მობოჭილისა სასურველია ყველასათვის და დროგამოშვებით გამოცემანიც ხელს უნდა უწყობდნენ ამ შემთხვევაში საზოგადოებას. სწორედ ამისთვის მივეცით ადგილი ბ. ი. ჭყონიას მცირე შენიშვნას ჩვენს გაზეთში, თუმცა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნდა ეს ამბავი. დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ შეცდომის გასწორებას შესახებ ფულის შეკრებისა, ვითომც შოთა რუსთველის ფულის დასადგმელად. ჩვენ ბ. ი. ჭ—ს ეხლანდელი განცხადებაც საეჭვოდ მიგვაჩნია. ამისთანა უსარგებლო ეჭვი და მითქმა-მოთქმა რომ არ მოხდეს, საჭიროა გამოცხადებულ იქმნეს, თუ სად არის დაცული, ან ვის აბარია ეს შეკრებილი ფულები. არ კმარა მარტო შეწირული ფულის რაოდენობის დასახელება...

„მწყემსის“ რედაქტორი

## სამეცნიერო ნაწილი

—

„Искуственныя удобренія, професора П. Вагнера. Изданіе Э. Иммеръ и сына. Цѣна 35 коп.

ზემოხსენებული წიგნი ფრიად საყურადღებოა, როგორც სოფლის მეურნე-მებაღე და მეაოსტნეთა, აგრეთვე ყვავილის მოყვანის მოყვარულთათვის. წიგნში ჩამოთვლილია ყოველ გვარი საშუალება ბოსტნებისა და ბაღების ნაადაგის გაპატივრებისა და სხვათა შორის მოყვანილია კიდევ ერთი საშუალება ბოსტნისა, ბაღისა და ოთახის მცენარეთა გაპატივრებისა. ეს საშუალება არის ეგრედ წოდებული „გასაპატივრებელი მარილი“. ვაგნერის მიერ მოგონილ მარილში ურევია: 30 წილი ფოსფორის სიმჟავის ამმიაკისა, 25 ნაწილი აზოტის ნატრისა (ჩილის გვარჯილა), 25 ნაწილი აზოტის კალისა (უბრალო გვარჯილა), 20 ნაწილი გოგირდმჟავ ამმიაკისა; მარილის ას ნაწილში არის: 13 ნაწილი ფოსფორის სიმჟავისა, 13 ნაწილი აზოტისა და 11 ნაწილი კალისა. ვაგნერის სიტყვით, ეს მარილი, რომელიც მსურველს შეუძლიან თითონ გააკეთოს, ან მზად გაკეთებული იყიდოს გასაპატივრებელ საწყობებიდგან, ძლიერ კარგია ყოველ გვარ მცენარეთა მოყვანისთვის: ეს „გასაპატივრებელი მარილი“ ისეა თურმე შეზავებული, რომ ყოველ გვარ მცენარეს არგებს. პროფესორი ვაგნერი დაწვრილებითა სწერს, როგორ უნდა იხმაროთ ეს მარილი. უფრო კარგია ეს მარილი წყალში გახსნილი იხმაროთ. ერთს ვედრა წყალზედ საკმარისია სამი მისხალი ზემოხსენებული მარილი. აი როგორა ხმარობს თვით ვაგნერი ამ მარილსა. ჩემს ბაღშიო, სწერს იგი, სდგას კარგა მოზრდილი კასრი, რომელიც $16^1/_4$ ვედრა წყალს იტევს. ამ კასრში ჯერ ჩავყრი 937 მისხალ გასაპატივრებელს მარილს, ჯერ ცოტა წყალში გავხსნი და შემდეგ კასრას წყალით გავამსებ. კასრასთანავე მაქვს ტარიანი ხაპირი თუნუქისა. ამ ხაპირით კასრიდგან ვიღებ $^1/_{25}$ ვედრა სითხეს და ჩავასხამ ლულეინში, რომელიც $^2/_5$ ვედრა წყალს იტევს და შემდეგ ლულეინს წყალით გავამსებ, ამ გვარად ლულეინში იქმნება სამი მისხალი გასაპატივრებელი მარილი ერთ ვედრა წყალზედ.

ამ სითხით ზაფხულში დრო და დრო უნდა მოირწყას ნიადაგი მცენარეთა და მცენარე საუცხოვოდა ჰხარობს. წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ უნდა მოირწყას ბოსტანისა, ბაღისა და ოთახის მცენარე. ამ მარილის წყალობით მცენარე საუცხოვოდ იზრდება და ისხამს ჩინებულს ხილსა და ნობათსა. მწვანეულობაც ჩინებულად იზრდება. ვაგნერი დასძენს, რომ გასაპატივრებელ მარილით მოყვანილი მცენარე მეტად განსხვავდება უასეთ მარილით მოყვანილ მცენარისაგან მუქი-მწვანე ფერითა, ღონიერის ზრდითა და ისხამს აუარებელ ყვავილსა.

## სასამართლოს მატიანე

—

6 სექტემბერს ოდესის სამოსამართლო პალატა შეუდგა ერთის იშვიათის საქმის გარჩევას, რომლის ბადალიც იქმნება მთელს რუსეთში ჯერ არც-კი გარჩეულიყოს. აი რაშია საქმე. სევასტოპოლის ომის შემდეგ რუსეთის მთავრობამ დაუთმო სევასტოპლში იტალიის მთავრობას ადგილი სასაფლაოსთვის, სადაც იტალიელებს უნდა დაემარხათ ომის დროს დახოცილნი იტალიელნი მეომარნი. იტალიის სამხედრო სამინისტრომ გამართა სასაფლაო და დათმობილ ადგილს გარდა მიითვისა კიდევ ერთი ნაწილი სევასტოპოლის საპატიო მოქალაქის აგარკოვისა. 1890 წელს აგარკოვმა საჩივარი შეიტანა სიმფეროპოლის ოლქის სასამართლოში და იტალიის სამხედრო სამინისტროს 10,000 მანათს ედავებოდა. ოლქის სასამართლომ ეს თხოვნა არ მიიღო და საქმე არ განიხილა, რადგანაც მომჩივანი უცხო სახელმწიფოს სამინისტროს ედავებაო. ბ-მა აგარკოვმა საჩივარი გადიტანა სამოსამართლო პალატაში, მაგრამ პალატამაც უარი განაცხადა ამ საქმის განხილვაზედ. იმავე დროს იტალიის მთავრობამ სთხოვა რუსეთის მთავრობას, ნება მოგვეცით, რომ აგარკოვის მამული იმ ფასად შევიძინოთ, როგორც თვით მთავრობა გადასწყვეტსო; ამ თხოვნაზედ რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა. აგარკოვმა საქმე გადიტანა უმართებულეს სენატში. სენატმა გადასწყვიტა, ეს საქმე არაფრით განირჩევა მამულის შესახებ დავის სხვა საქმეებისგანაო და აგარკოვის საქმე ისევ სიმფეროპოლის ოლქის სასამართლოს გადასცა განსახილველად.

# დეპეშა

18 ენკენისთვე

**პარიჟი.** ოფიციალური პროგრამმა რუსეთ-საფრანგეთის დღესასწაულებისა დაბოლოვებით იქმნა შემუშავებული. რუსეთის ესკადრა ტულონს მოვა შუადღისას 13 ოქტომბერს (ახალის სტილით), ხოლო პარიჟს ესკადრის აფიცრები მივლენ 16 ოქტომბერს, შუადღის 4 საათზედ; აფიცრები გზაში არსად გაჩერდებიან და პარიჟს მივლენ 17 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ; პარიჟიდგან რუსეთის ესკადრის აფიცრები წავლენ 24 ოქტომბერს, ღამის 11 საათზედ; 26 ოქტომბერს ლიონს იქმნებიან და 26 მარსელს; ტულონს დაბრუნდებიან 26 ოქტომბერს, საღამოთი. ჯავშნიან ხომალდს „Jaureguiberry“-ს ზღვაში ჩაუშვებენ 27 ოქტომბერს, ტულონიდგან რუსეთის ესკადრა წავა 28-ს. ტულონში დღესასწაულს დაესწრება ხოლო ზღვის მინისტრი; არ იქნება არც პრეზიდენტი რესპუბლიკისა, არც მინისტრ-პრეზიდენტი და არც სხვა მინისტრნი. პარიჟში რუსეთის ესკადრის აფიცრებს მინისტრები მიიღებენ.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ¶¶ ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

თესლი აბრეშუმის ჭიისა

**ძმათა პასხალიდებისა**

ბრუსსაში (ოსმალეთი)

ნოემბრის დამლევს მივიღებთ გასასყიდად ცელულიარნი გრენა ძმ. პასხალიდებისას.

მიმართეთ ტფილისში **როდოკონაკის** სააგენტოს, სასახლის ქუჩა, ქარვასლა ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა № 128, აგრეთვე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას.

(4—966—1)

გამოვიდა და ისყიდება ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

**ჰრაკები**

მოწაფეთათვის სახმარებლად

**სულხან-საბა ორბელიანისა**

გამოკრებილი „სიბრძნე-სიცრუიდამ“.

ფასი 25 კაპ.

(3—რ—1)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—100)

**გამოსადეგი ცნობანი**

**პირველი კერძო საკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი**, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ;

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

1894 **წლის იანვრიდგან**

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

**„მოამბე“**

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**